به نام خداوند بخشنده و مهربان

سرآغاز

تاکنون چند بار قلم برداشته، خواسته‌ام خاطرات و سرگذشت زندگانی خود را بنویسم و چند برگ هم نگاشته سپس پاره کرده دور ریخته‌ام. چرا؟ برای آن که ما مردم عادت نداریم سخن حق بشنویم؛ چون در محیطی پرورش یافته‌ایم که اغلب قضاوت‌ها روی حب و بغض استوار است. مثلاً فلانی چون همشهریست باید از او حمایت کرد و بزرگش نمود، و هزار جور معجزه و هنر با هو و جنجال برایش تراشید. ولی هنر و کمال و دانش غیرهمشهری را نادیده گرفت؛ بلکه او راهو کرد و حق وی را پامال نمود، و همه‌گونه کارشکنی از بهر او ساخت. در چنین مرز و بوم، حق‌گویی و حقیقت جویی، آهن سرد کوبیدن و مشت به سندان زدن است؛ و جز زیان سودی ندارد. پس چرا ناگفتنی‌ها را بگویم و برای خویش، دشمن بیفزایم، من که یک عمر سوخته و ساخته‌ام، واکنون هم سال‌های واپسین زندگانی را می‌گذارنم، و مانند آفتاب لب بامم، و به مژه بر هم زدنی از میان رفته ام، ولی دوستان و آشنایان اصرار دارند خاطرات خود را بنگارم. می‌گویند اگر حالا هم چاپ و منتشر نشود روزی انتشار پیدا می‌کند؛ و شاید در اخلاق جوانان بی‌اثر نباشد، و از این راه خدمتی به جامعه کرده باشی. اینک وادارم کردند به یاری یزدان پاک بنویسم. این را نیز بگویم که چند نفر از شاگردان من به آمریکا رفته و در آن‌جا کار می‌کنند و از طرف مردم تشویق شده، زندگی‌شان بسیار خوب است و در کار هنر نیز پیشرفت نموده‌اند؛ ولی آیا این صحیح است که مرد سنگر را خالی کرده، از مرز و بوم پدرانش مهاجرت کند و به دیار بیگانگان پناه آورد، برای این‌که چند روزی رابه خوشی بگذراند؟! ما در این کشور به مهر شاهنشاهی و تاریخمان زنده هستیم؛ او به مخالف و موافق مهر میورزد. بزرگواری چه بالاتر از این، که توطئه گران نادان و گمراه [در قضیه] سوء قصدش را که محکوم به مرگ شده بودند، نخست بخشید سپس آزاد نمود، بعد دستور داد کارشان بدهند. در صورتی که در مصر و یمن مخالفان را گردن می‌زنند و تیرباران‌شان می‌نمایند. اما اونمی‌خواهد یک یا چند جوان دانشمند ایرانی به کیفر گمراهی کشته شوند. ولی چه باید کرد؟ همین کشور، وزارت فرهنگ و هنری دارد که به جای تشویق هنرمند و ترویج هنر، کارش هنر کشی و کارشکنی است. بی‌هنر را با هو و جنجال بزرگ و بزرگتر می‌نماید، و هنرمند واقعی را

نابود می‌سازد! برای ((میر مصّور ارژنگی)) که یک نابغه و نقاش کم نظیر و اسباب سربلندی میهن بود، هیچ کاری نمی‌کند؛ به گناه آن که او تبریزیست؛ ولی برای فلان مسیحی شارلاتان که به اتهام جاسوسی زندانی و تبعید شده بود، در مسجد مسلمانان ختم می‌گذارد! خدایا چقدر تلخ و ناگوار است این زندگی.

سرسلسله‌ی نگارنده

در روزگار گذشته، که هنوز صنعت چاپ پیدا نشده بود، مردم کتاب‌ها را با دست می‌نوشتند. در هر شهری، گروهی از خوشنویسان بودند، که برای شهریاران و بزرگان کتاب می‌نگاشتند. کتاب‌هایی که در آن زمان نوشته می‌شد، عبارت بودند از **شاهنامه‌ی فردوسی، خمسه‌ی نظامی، کلیات سعدی، مثنوی مولوی، حافظ** و غیره. در شهر تبریز خوشنویسی بود به نام ((میرحیدر)). هنگامی که تیمور لنگ نتوانست اسلامبول را تسخیر نماید، رو به تبریز آمد. شهر را مسخر و ایلخانیان را مغلوب کردو کشت.سپس، برحسب رسوم خودش صنعتگران و هنرمندان را به شهر سمرقند کوچانید. (چنان که سلطان سلیم ترک، صنعتگران و هنرمندان و معماران تبریز را برد تا آنان در اسلامبول، برای ترک‌ها ((یاشل مسجد)) را بسازند) میرحیدر نیز اسیر شد و با صنعتگران دیگر در آن شهر ماند و کار می‌کرد، تا انکه تیمور در موقع لشکرکشی به چین، در راه سکته کرد. پس از مرگ تیمور صنعتگران اسیر، آزاد شدند و هر کس به زادگاه خود بر گشت. میر نامبرده نیز به زادگاه خود بازگشت.میرحیدر سه پسر داشت. پسر کوچک او را ((میرک)) می‌گفتند؛ یعنی میر کوچک. میرک یک نابغه بود؛ علاوه بر کار پدری، تذهیب و تصویر هم می‌ساخت. میرحیدر استعداد پسر خود را دید، وی را به استاد نقاشی "پیر سیداحمد" سپرد. استاد غیر از میرک شاگردان دیگر هم داشت که یکی از آن‌ها "بهزاد" بود که بعدها به "کمال‌الدین" مشهور شد. میرک و بهزاد هر دو با شوق بسیار نزد استاد کار کردند و به رموز نقاشی آشنا و هنرمندان ارزنده‌ای شدند.

تبریز، پس از ایلخانیان رونق خود را از دست داد. در عوض هرات، در نتیجه‌ی تشویق "امیر علیشیر نوائی" مهین وزیر سلطان حسین بایقرا، رونق گرفته بود؛ به طوری که شاعران و نقاشان و خوشنویسان همه مانند پروانه، به دور شمع نوائی گرد آمده بودند. میرک و بهزاد راه هرات را در پیش گرفتند، و سال‌ها در آن شهر هنرنمایی نمودند. بهزاد

بر حسب امر سلطان، کتاب **ظفرنامه‌ی تیموری** را مصوّر کرد. میرک نیز کارهای بسیار دیگری انجام داد تا این‌که شاه‌اسماعیل صفوی به پا خاست و دست ترک‌ها را از آذربایجان کوتاه کرد و شهرتش درتمام ایران بلکه خاورمیانه، پیچید. بهزاد و میرک هر دو به زادوبوم خود بازگشتند و به حضور شاه‌اسماعیل بار یافتند و مورد مرحمت شاهانه قرار گرفتند، ولی دیری نپائید که شاه جوان صفوی جهان را بدرود گفت و فرزندش تهماسب کوچک شاه شد و تبریز را پایتخت قرار داد. کتابخانه‌ی شاهی تشکیل گردید؛ و بهزاد سرپرست کتابخانه شد. پس از چندی بهزاد نیز وفات یافت و در سیدحمزه‌ی تبریز به خاک سپرده شد و میرک پس از او رئیس کتابخانه گردید. در زمانی که میرک ریاست کتابخانه را بر عهده داشت، کتاب‌های بسیار پرارزشی نوشته و پرداخته شد، که یکی از آن‌ها **خمسه‌ی نظامی** معروف به ((شاه‌طهماسبی)) است که میرک خودسه مجلس در آن ساخته است و باقی را سایر نقاشان تبریز کار کرده‌اند و اکنون در بریتیش میوزیوم لندن است و انگلیسی‌ها بارها تصاویر آن‌را چاپ کرده، می‌فروشند و مینیاتورسازان ایران هم از روی باسمه‌ها کپی می‌کنند.

خواجه میرک نیز پیش از آن‌که شاه‌طهماسب، پایتخت را از تبریز به قزوین انتقال دهد، درگذشت. متأسفانه مزارش بسان آرامگاه بهزاد، گم شده است ، ولی دور هم نیست که روزی دست تصادف آن‌ها را پیدا کند.

فرزندان میرک

1. پس از میرک فرزندان آن دو دسته شدند: دسته‌ای نقاش و دسته‌ای حجار. اغلب حجاری‌های مرمر تبریز کار آن‌هاست. یکی از عموهای پدرم قدح پرنقش و نگاری از سنگ مرمر تراشیده و نیمی از **ساقی‌نامه**ی خواجه حافظ را به دور آن کنده و به عباس‌میرزا هدیه داده بود.عباس میرزا نیز در مقابل یکی از معادن مرمر نزدیک تبریز را به وی بخشیده بود، که تا اوایل مشروطه از آن بهره‌برداری می‌کردند. عموی دیگرم تابلوهایی از جنگ ایران و روس بر حسب امر عباس‌میرزا ساخته بود که در سال 1330 قمری افسران روس آن‌ها را از باغ شمال تبریز به روسیه بردند. عموی دیگرم در جنگ (گنجه) شرکت کرده و شهید شده بود و مردم مزارش را مانند امامزاده درست کرده،و او را ((سید خال‌دار))می نامیدند. اما جد ما ((سید محمد))است که یکی از

آثارش در موزه‌ی تفلیس نگهداری می‌شود.او سه پسر داشت: محسن، مهدی و ابراهیم. محسن علاوه بر نقاشی شاعر هم بود و در شعر ((اختر مصوّر)) تخلص می‌کرد؛ مهدی در جوانی بدرود زندگی گفت. ابراهیم "آقا میر"، نقاش مظفرالدین میرزا (ولایت عهد) بود. چون میرزارضای کرمانی، ناصرالدین شاه را کشت، پدرم با ولایت عهد به تهران نرفت زیرا در تبریز، کارهای او را فرنگی‌ها به بهای خیلی خوب می‌خریدند و آن زمان خارجی‌ها در تبریز زیاد بودند. ولی چندی بعد شاه او را به تهران خواست ،اما نقاشان به او حسد برده و در یک مجلس مهمانی که در یکی از باغات شهرری ترتیب داده بودند به او زهر دادند و در تاریکی شب وی را در صحن حرم انداختند. اتفاقاً یکی از بازرگانان تبریز صبح زود می‌رودتا در صحن حرم نماز بخواند پدرم را می بیند، می‌شناسد و او را به خانه خود برده، معالجه می‌نماید و ضمناً به برادرم "میرمصوّر" که در آن زمان بیست سال داشت، تلگرام میزند که، بیا تهران. ولی در آن روزگار با نبودن وسیله وسختی راه،از تبریز به تهران چهل روزه می‌آمدند. تا برادرم خود را برای سفر آماده کند، تلگرام دوم رسید که حال پدر خوب است،او را روانه تبریز کردیم. گرچه پدرم زنده ماند، ولی دیگر مانند گذشته نمی‌توانست کار کند و ما در تهران کسی را نداشتیم که سبب و علت مسمومیت پدر را دنبال کند و اعلام جرم نماید؛ لذا قضیه لوث شد. ماجرای مسمومیت پدرم ، همزمان باماجرای کمال‌الملک وخشم و غضب مظفرالدین شاه نسبت وی روی داد.او به دلیل حادثه ای که نقل خواهم کرد، مغضوب و از دربار رانده شده بود.

سبب خشم مظفرالدین شاه

خوب است در این‌جا آن‌چه را که مزین‌الدوله کاشانی [نطنزی]، استاد و مربی کمال‌الملک می‌گفت، نقل نمایم تا سبب خشم مظفرالدین شاه نسبت به او روشن گردد. زمانی که من در اول خیابان علاءالدوله "فردوسی کنونی" هنرستانی به نام ((نگارستان ارژنگی)) داشتم و شهرتم در تهران بلکه در همه‌ی ایران پیچیده بود، روزی پیرمرد کوتاه‌قدی به آنجا آمد و پس از تماشای سالن نمایشگاه، خودش را معرفی نمودو گفت ((نام من علی‌اکبر ((مزین الدوله)) است.من استاد و مربی کمال‌الملک بودم. دولت چند سال مرا به فرانسه فرستاد،وقتی باز گشتم، در مدرسه‌ی دارالفنون معلم

فرانسه شدم و یک کلاس نقاشی نیز دایر کردم.)) به او گفتم،من اسم شما را شنیده بودم و یک تابلو میوه‌تان را نیز در صنایع مستظرفه دیده بودم. سپس چنین گفت: ((روزی قوام‌الدوله‌ی کاشی به من گفت شما بچه‌های مردم راگردآورده،به آنها نقاشی آموخته وآنها را تربیت می‌کنید، ولی پسران ((میرزا کوچک)) در کاشان بی‌سرپرست مانده‌اند. شما همراهی کنید که من آن‌ها رابه تهران بیاورم تا در کلاس نقاشی شما، کار کنند. گفتم؛ بسیارخوب ولی چه کسی متکفل هزینه‌ی زندگی آن‌ها خواهد شد؟ گفت: ((من روزی یک قران به آن‌ها می‌دهم تا خرج کنند.)) هفته‌ی دیگر دستور داد چارپاداران او که مرتب به کاشان آمد و رفت می‌کردند، دو پسربچه را که اولی ((محمد)) و دومی ((ابوتراب)) نام داشت، آوردند و آنها در کلاس نقاشی مشغول شدند. محمد قابل‌تر از ابوتراب بود. تا اینکه روزی ناصرالدین شاه آمد دارالفنون. پس از تماشای کلاس نقاشی گفت: ((یکی از این بچه‌ها را بفرست تا رنگ و قلم و لوازم نقاشی مرا نگهداری کند.)) من محمد را معرفی کردم و او رفت و در دربار خدمت میکرد. چند سالی خوش بودو نقاشی و کار می‌کرد، ولی اتفاقی افتاد که جانش را به خطرانداخت: از "تخت طاووس"، چند دانه جواهر کنده شده و به سرقت رفت. به محمد و به یک باغبان‌شاگرد بدگمان شدند،ولی پس از بازپرسی‌ها، معلوم شد که کار باغبان‌شاگرد بوده و به امر شاه، آن بدبخت را سربریدند.

ناصرالدین شاه در سفری به فرنگ، به کشور انگلیس، رفته بود ویک روز به ویلای ((ویکتوریا)) ملکه‌ی بریتانیا رفت. چون ملکه از آمدن او با خبر شد به کسان خودگفت: ببینید که شاه ایران از چه چیز خوشش آمده؟ گفتند: از تابلوی زن برهنه ای که نیم‌رخ نشسته و کبوتر، برایش نامه ای آورده و خود مرده است. ملکه امر کرد که آن تابلو را درصندوقی جا داده به شاه هدیه کنند. شاه تابلو را به تهران آورد. روزی به میرزامحمد گفت:آیا می‌توانی این تابلو را کپی کنی؟ محمد چارچوب و پارچه‌ای تهیه دید وکارش را شروع کرد. پس از مدتی که کار نقاشی تمام شد، تابلو فرنگی را از قابش بیرون آورد و تابلوی خودش را در آن قاب جا داد. روزی شاه با چند نفراز رجال آن زمان آمد تابلو را دید و از آنها پرسید: ((به نظر شماکدام یک کار محمد،و کدام یک انگلیسی است؟)) همه گفتند آن‌که بی‌قاب است، کار محمد است. شاه گفت: ((او حقّه زده و کار خود را در قاب فرنگی گذاشته. آن تابلوی بی قاب، اصل است.))

روزگاری گذشت میرزامحمد همسری گرفت و دارای سه پسر شد. روزی ناصرالدین شاه به او گفت آیا می‌توانی تابلویی از اتاق آینه بسازی؟ محمد مشغول شد ولی هفت سال طول کشید تا تابلو تمام شود. شاه در این مدت بارها به تماشا آمده و به اوانعام داده بود. تابلو که تمام شد، شاه به اناکر گفت عکس تابلو را بیندازند و برای همه استانداران ایران بفرستند و آنها نیز هرکدام صد تومان برای میرزامحمد بفرستند. این پول‌ها جمع شد و میرزامحمد پولدار گردید.

در آن زمان مردی ارمنی در دارالفنون تدریس می‌کرد، به نام ((نریمان‌خان)). پدر و مادر و خانواده‌اش همه مقیم پاریس بودند. یکبار که می‌خواست به پاریس برود ، به میرزامحمد گفت: حالا که صاحب پول و پله شده ای، با من بیا تا به پاریس برویم در آن‌جا موزه‌ها و آثار استادان بزرگ را ببین و استفاده کن. کمال‌الملک که تازه لقب گرفته بود قبول کرد و با او به فرانسه رفت و در خانه‌ی نریمان‌خان منزل کرد نریمان‌خان، خواهری داشت هفده هجده‌ساله، بسیار زیبا با اندام موزون و دلفریب. کمال‌الملک که همسر خود را با او مقایسه می‌کرد، دلباخته او شد. دختر نیز به واسطه‌ی هنرش ، به وی علاقمند گردید. در ضمن ملاقات‌ها، میرزامحمد از او پرسید شما ازدواج کرده‌اید یا نه؟ کمال گفت هنوز خیر..و سرانجام با آن لعبت عروسی کرد. پس از چندی آنها با هم به ایران آ مدند. کمال‌الملک در خیابان خراسان خانه‌ی کوچکی داشت. دختر ارمنی رابه آن‌جابرد. همان شب اول زن و فرزندان او ریختند سر دختر ارمنی وکتک جانانه ای به او زدند. فردا دخترک به سفارت فرانسه و از آنجابه حضور شاه رفت. شاه سخت متغیر شدوامر کردتا کمال‌الملک او را طلاق بدهد. دختر هم پس ازطلاق گرفتن به فرانسه برگشت. من از مزین‌الدوله پرسیدم بعد چه شد؟ گفت سرانجامش خیلی غم‌انگیز شد. زن‌های کاتولیک آن‌زمان وقتی از شوهرشان طلاق می‌گرفتند، نمی‌توانستند دوباره شوهر نمایند. دختر رفت وآن زلف‌های عابد فریب را تراشیدو در یک دیر راهبه شد ولی نتوانست با آن طرز زندگی بسازد، پس خودش را به رودخانه سن انداخت و تا نجاتش بدهند، بدرود حیات گفت. من این سرگذشت اندوهگین را پیش از مزین الدوله، از حشمت الممالک (عکاس مظفرالدین شاه، محمد علی شاه و احمدشاه) و چند پیرمرد دیگرهم شنیده بودم ولی نه به این طول و تفصیل.

کمال‌الملک پس از آن‌که از دربار ناامید شد،دیگر نتوانست در تهران بماند، به کربلا و بغدادرفت و در آن شهر

تابلوی دختر بغدادی و میدان کربلا را ساخت که پس از برگشتن به تهران دختر بغدادی را در اندازه بزرگتر نقاشی نمود. این در زمانی بود که میرزا رضای کرمانی در حضرت عبدالعظیم ناصر الدین شاه را کشت. مظفرالدین میرزا از تبریز آمد و شاه شد و بعد از آن بود که پدرم را به تهران خواست. او پس از سه سال اقامت ، همانطور که در پیش نوشتم مسموم شد و به تبریز برگشت. حالا اجازه دهید باقی ماجرا را از قول مرحوم حکیم الملک نقل نمایم: کمال‌الملک پس از آن‌که از کربلا برگشت. بسیار پریشان حال و تهی‌دست شده بود. به طوری‌که در خانه معیرالممالک ، به او ابراز می‌کند که شش ماه است کرایه خانه ام را نداده‌ام. حشمت الممالک بیست تومان به او می‌دهد، تا کرایه پس افتاده اش را بدهد. زمانی گذشت. من از فرنگ برگشتم. مشروطه شد؛ ومظفرالدین شاه مرد، و محمدعلّی، شاه گردید. استبداد صغیر پیش آمد و سرانجام محمدعلی شاه مخلوع و احمدمیرزا شاه شد. من وزیر فرهنگ شدم. برای احمدشاه معلمینی برگزیدم تااو را تربیت کنند و نظر به پیشینه دوستی که با کمال داشتم او رابه سمت معلم نقاشی احمدشاه، انتخاب کردم تا به این عنوان صاحب حقوقی شود و به زندگانی خود سروسامانی بدهد. سپس باغ سرسرای فتحعلی‌شاهی را با اجازه دولت و تصویب مجلس، با هفت هزار تومان پول نقد، به کمال‌الملک دادم تا در آن باغ ساختمانی کند و همه نقاشان تهران را گرد آورده یک دارالصنایع ترتیب دهد. این را نیز بگویم که در آن زمان پول نبود و به کارمندان دولت به جای پول، یونجه و کاه و آجر می‌دادند، ولی من جدیت کردم تا دولت به دارالصنایع که بعدها به نام «صنایع مستظرفه» نامیده شد، ماهی چهار صد تومان پول بدهد، ولی کمال‌الملک پس از آن‌که به کار سوار شد، همکارانش رابه آن‌جا راه نداد،بلکه کاری کرد که همه از نقاشی بری شده، از پی کارهای دیگر رفتند. مثلاً: مصورالملک عکاس شد. مصورالممالک و میرزا حاجی آقا معلم شدند. مصورالسلطنه کارمند وزارت امور خارجه شد . و کمال‌الملک تنها یکه تاز میدان گردید.

پدرم ابراهیم میر

در پیش نوشتم که پدرم نقاش مظفرالدین میرزا ولایت عهد بود. او شاید نخستین کسی بود که نقاشی [را] در تفلیس و مسکو فرا گرفته بود و زبان روسی و فرانسه را خوب می‌دانست و صحبت میکرد.آنوقت‌ها، مترجم زبان خارجی در ایران

აბას რასამ არჟანგი

ავტობიოგრაფია

...

მამაჩემის უეცარი გარდაცვალება

როგორც უწინ ვახსენე, მამაჩემი მჭევრმეტყველი, მოსიყვარულე და ლიტერატურაში დიდად განსწავლული კაცი გახლდათ და ჩვენ მისგან მრავალმხრივ ცოდნას ვიძენდით. განსაკუთრებით უყვარდა ისტორია და ლიტერატურა და ფრანგ და რუს მწერლებს კარგად იცნობდა. მთვარის კალენდრის 1329 (1911) წელი იდგა. ერთ საღამოს ყველანი შევიკრიბეთ, ვჭამეთ, ვიცინეთ, ვისაუბრეთ და დავიძინეთ. გამთენიისას ყველამ გაიღვიძა, გარდა მამაჩემისა, რომელმაც ძილში სამუდამოდ დაგვტოვა. მისი სიკვდილის შემდეგ ვიგრძენით, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და ძვირფასი მეგობარი დავკარგეთ. მამაჩემს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ მე მხატვრობის შესასწავლად თბილისში გავემგზავრებოდი და განუწყვეტლივ მიმეორებდა: „აბას, რუსეთიდან საჩუქარს ნუ ჩამომიყვან“. კატეგორიულად წინააღმდეგი იყო, რომ მე უცხო ტომის ქალზე დავქორწინებულიყავი და ამტკიცებდა: „ასეთი ქალის მიერ გაჩენილი ვაჟი ირანელი არასოდეს იქნებაო“.

მე თბილისის სამხატვრო სასწავლებელში შევედი

იმ დროს ირანში მხატვრობის შესწავლის საშუალება არ იყო, ამიტომ 1329 (1911) წელს, მამაჩემის სიკვდილის შემდეგ, ქალაქ თბილისში გავემგზავრე და სამხატვრო სასწავლებელში დავრეგისტრირდი. მათ პირველ კლასში ჩამწერეს. რადგან თავრიზში მხატვრობის სხვადასხვა სფეროში მუშაობის გამოცდილება მქონდა, ამიტომ სასწავლებლის დირექტორთან შევედი და მოვახსენე, რომ ნატურის ხატვასა და ასლების კეთებაში დახელოვნებული ვიყავი. პასუხად მივიღე, რომ ან სწავლას პირველი კლასიდან დავიწყებდი, ან სასწავლებელს დავტოვებდი. სხვა რა ჩარა მქონდა, პირველ კლასში დავჯექი და საქმეს შევუდექი. ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ მასწავლებელი მოვიდა, ჩემი ნახატი დაათვალიერა და ხმის ამოუღებლად ოთახიდან გავიდა. ცოტა ხანში სასწავლებლის დირექტორთან ერთად დაბრუნდა. დაუყოვნებლივ პირველიდან მესამე კლასში გადამიყვანეს, რამაც საშუალება მომცა, სასწავლებლის ექვსწლიანი კურსი ოთხ წელიწადში დამესრულებინა.

მოჯთაჰედის ბაღი

თბილისში ერთი ბაღია, რომელსაც „მოჯთაჰედის ბაღს“ ეძახიან. ახლა ვნახოთ, ვინ არის ეს მოჯთაჰედი და მისი სახელი ბაღს რატომ დაარქვეს. იმ დროს, როცა რუსებმა აბას მირზას ლაშქარი დაამარცხეს, თავრიზის მესვეურებმა ცარის მეომრებს ქალაქის ალაყაფის კარი დაუკეტეს, რათა სამაშველო რაზმის მოსვლამდე თავი დაეცვათ. მირ ფათაჰ აყამ, რომელიც საკუთარი გამორჩენისა და კეთილდღეობისთვის რუსებთან საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდა, ხალხი შემოიკრიბა, დააშინა და აიძულა, მტრისთვის ქალაქის კარიბჭე გაეხსნათ. შედეგად, აბას მირზა რუს მეომრებს ვერ გაუმკლავდა და გაიქცა. მღელვარების

დაშოშმინების შემდეგ, რუსებმა გაწეული სამსახურისთვის მირ ფათაჰი თბილისში წაიყვანეს და ეს ბაღი აჩუქეს. მაგრამ ცოტა ხანში მოწაფეების სიმცირემ მოჯთაჰედი აიძულა თავრიზში დაბრუნებულიყო, ამ დიდებულ ბაღს კი, რომელიც სახალხო სასეირნო ადგილად იქცა, მისი სახელი უწოდეს.

ოთხი წელი თბილისში

მე სასტუმროში არ დავბინავდი და ბევრი ხეტიალის შემდეგ რუსების ქუჩაზე ვიპოვე მწირი ავეჯით გაწყობილი ოთახი, რომელიც თან იაფი იყო და თან საშუალებას მაძლევდა, ხალხთან საუბრით ჩემი რუსული დამეხვეწა.

იმ დროს ირანელი გლეხები, რომელთა უმეტესობა ქალაქ არდებილიდან იყო, საზღვრისპირა ქალაქებში ჩადიოდნენ და, ძირითადად, ქუჩებში ქალისა და მამაკაცის წინდებით, თავსაფრებით ან ნავთით ვაჭრობდნენ. რუსები ირანელებზე დაბალი აზრის იყვნენ და ყველა მათგანს მტრული თვალით უყურებდნენ, რამაც განაპირობა ბინის მეპატრონეების მხრიდან ჩემდამი ქედმაღლული დამოკიდებულება. მაგრამ ცოტა ხანში, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც ჩემი ოსტატობა დაინახეს, აზრი უკეთესობისკენ შეიცვალეს.

ჩვენი სასწავლებელი ორცვლიანი იყო: დილის ცხრა საათიდან თორმეტამდე ფერწერაში ვვარჯიშობდით, ხოლო საღამოს ექვსიდან რვამდე სპეციალური ნახშირით გრაფიკაში ვმუშაობდით.

ყოველ დღე შუადღისას სასწავლებლიდან გამოვდიოდი, რესტორანში ვსადილობდი და სახლში ვბრუნდებოდი. არაერთხელ შემინიშნავს, რომ ჩემ არყოფნაში ქართველი, რუსი და სომეხი გოგონები ჩემს ოთახში შედიოდნენ და ნამუშევრებს ათვალიერებდნენ. კარს იმიტომ არ ვკეტავდი, რომ დამლაგებელს საშუალება ჰქონოდა, ოთახი დაელაგებინა.

ირანის მოყვარულთა ჯგუფი

თბილისელ მუსლიმებთან ურთიერთობისას ვამჩნევდი, რომ მათ ირანისადმი ნეგატიური, მეტიც, მტრული დამოკიდებულება ჰქონდათ. გადავწყვიტე, მიზეზი გამეგო. გაირკვა, რომ ოსმალები (თურქები) და რუსები მუდამ ირანის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწეოდნენ. ოსმალები ამას იმიტომ სჩადიოდნენ, რომ მთელი კავკასიის დაპყრობა სურდათ, ხოლო რუსებს იმის ეშინოდათ, რომ კავკასია ისევ ირანის დაქვემდებარებაში არ გადასულიყო. მე კავკასიაში დაბადებული ირანული წარმომავლობის ახალგაზრდები შემოვიკრიბე და ურთიერთობითა და საუბრებით ნელ-ნელა მათ გულებში ირანის სიყვარული გავაღვივე. ამგვარად, ცოტა ხანში „ირანის მოყვარულთა ჯგუფი“ შეიქმნა.

ჩვენი ჯარისკაცები რატომ დახოცეთ

1330 წლის მოჰარამის თვე (1912 წლის იანვარი) იდგა. ერთ დღეს მოჯთაჰედის ბაღში ვიჯექი და ვხატავდი. ათი-თორმეტი წლის ბიჭი მომიახლოვდა, ცოტა ხანი მე და ჩემს ნამუშევარს გვათვალიერებდა და მერე მკითხა: „ირანელი ხარ?“ ვუპასუხე: „დიახ.“ მითხრა: „თქვენ ჩვენი ჯარისკაცები რატომ დახოცეთ?“ ვუპასუხე: „თუ თქვენს სახლში ქურდი შემოიპარება და თქვენს მოკვლასა და გაძარცვას მოიწადინებს, როგორ მოიქცევით?“ თქვა: „თავს დავიცავ, ვიყვირებ და მშველელს ვუხმობ.“ ვუთხარი: „თქვენი ჯარისკაცები

ქურდებივით იქცეოდნენ. ჩვენ თქვენს ქვეყანაში არ მოვსულვართ, ეს თქვენი მეომრები დაესხნენ თავს ჩემს სამშობლოს.“

მოკლე და ნათელი სათქმელი

ხანდახან ზოგიერთი ჩემი ნამუშევარი მაღაზიებში გასაყიდად მიმქონდა, რადგან დიდი ხარჯი მქონდა და თავრიზიდან გამოგზავნილი ფული არ მყოფნიდა. ერთ დღეს სალაღობოდ ფანქრით გოგონას პორტრეტი დავხატე და რადგან მომეწონა, გავაფერადე, ჩარჩოში ჩავსვი და ერთ-ერთ მაღაზიაში წავიღე. ორი დღის შემდეგ სახლში რომ დავბრუნდი, ჩემი სახლის მეპატრონის ცოლმა მითხრა: „ვიღაც სახელმწიფო მოხელე იყო მოსული და თქვენ გკითხულობდათ. ვუთხარი, რომ დილის ცხრა საათზე სასწავლებელში მიდიხართ და თუ თქვენი ნახვა უნდა, ცხრამდე უნდა მოვიდეს.“ ძალიან შემეშინდა, რადგან იმ დღეებში განათლებულ ირანელებს იჭერდნენ და მიჰყავდათ. მეორე დღეს ჯერ კიდევ საწოლში ვიყავი, რომ ის კაცი ქალის თანხლებით მოვიდა. სხვა რა ჩარა იყო? ავდექი, საწოლი გავასწორე, ხელ-პირი დავიბანე და მათთან ბოდიშებით გავედი. ამ კაცმა რუსულად ერთი წინადადება მითხრა, რომელმაც თავიდან ძალიან შემაშინა: „მე თქვენთან ერთი მოკლე და ნათელი სათქმელი მაქვს. ამა და ამ მაღაზიაში ნახატი დატოვეთ?“ ნახატი ახსენა თუ არა, შვებით ამოვისუნთქე. ვუპასუხე: „დიახ“. მითხრა: „მისი ყიდვა მსურს“. ვუთხარი: „მერე გეყიდათ, აქ მოსვლა რა საჭირო იყო?!“ მითხრა: „თქვენი გაცნობა მინდოდა, რადგან მსგავი ნამუშევრები მომავალშიც მომინდება“. ჩანთიდან ფული ამოიღო და ნახატის საფასური წინ დამიდო. ვიუარე: „ფულს არ ავიღებ, სანამ ამ საღამოს არ წავალ და ნახატს არ მოვიტან-მეთქი”. მითხრა: „რა ახალგაზრდა ხარ! ეს ფული აიღე და დამშვიდდი. შესაძლოა, წავიდე და აღარ დავბრუნდე“. იმ საღამოს სასწავლებლიდან რომ გამოვედი და ნახატის წამოსაღებად მაღაზიაში გავიარე, ვნახე, რომ ნახატი ვიტრინაში აღარ იდო. სასწრაფოდ გამყიდველის ცოლს მივმართე, რომელმაც მითხრა, რომ ნახატი გაეყიდა. ვუსაყვედურე: „რატომ გაყიდე?“ მითხრა: „გაგიჟდი?! ის ხომ გასაყიდად იყო დატოვებული და მეც გავყიდე“. რას ვიზამდი, მართალი იყო. ფული ავიღე და წამოვედი. მეორე დილით ჩვეულებრივზე ადრე ავდექი და ის კაციც მოვიდა. ვუთხარი: „ბოდიშს გიხდით, მაგრამ ნახატი გაყიდული დამხვდა“. გაფითრდა, ჩემს გაწვდილ ფულს შეხედა და მითხრა: „ფულს რა ვუყო, მე ის ნახატი მინდოდა“. ვუთხარი: „ის ნახატი ჩემი შექმნილია და შემიძლია, კიდევ დავხატო“. მკითხა: „როდის დახატავ?“. ვუპასუხე, რომ ორ დღეში მოსულიყო და მზად მექნებოდა. მეორე დღეს დავჯექი და განსხვავებული „ჟესტიკულაციის“ სხვა სახე დავხატე. კაცი რომ მოვიდა, ძალიან მოეწონა. მას შემდეგ დაახლოებით ერთი წელი მისთვის ვმუშაობდი და თან ძალიან დავმეგობრდით.

რუსი გენერალი „ჟენერალი“ გავიცანი

ერთ დღეს სასწავლებლიდან გავიარე სიგარების მაღაზიაში, სადაც ჩემი ნამუშევრები მქონდა დატოვებული, რათა მენახა რამე ხომ არ გაიყიდა. გამყიდველმა სავიზიტო ბარათი მიჩვენა და მითხრა, რომ ვიღაც გენერალს ჩემთან საქმე ჰქონდა და მასთან სახლში უნდა მივსულიყავი. მეორე დღეს გენერლის სახლში წავედი. მოხუცი კაცი იყო და გრძელი ჭაღარა ულვაში ჰქონდა. თურქული, სპარსული, ქურთული და სომხური კარგად იცოდა და მე სპარსულად გამომელაპარაკა. მითხრა: „მე კავკასიის მთელი მუზეუმების

დირექტორი ვარ. თბილისის მუზეუმში ინახება ირანელი მხატვრების რამდენიმე ნამუშევარი, რომლებიც შეკეთებას საჭიროებს. მე თქვენი ნახატები ნანახი მაქვს და ვფიქრობ, ამ საქმეს შეძლებთ“. შემდეგ ბრძანა, ერთცხენიანი დროშკა მოემზადებინათ და მუზეუმში ერთად წავედით. იქ მამაჩემის ორი ზეთის ნახატი და ერთიც ბაბუაჩემის ნამუშევარი ვნახე.

თავრიზი თანამედროვე ირანელი მხატვრების სამშობლო იყო. ჩემს ბავშვობაში თავრიზში ოთხმოცამდე მხატვარი მოღვაწეობდა. ლონდონში „მისტერ იმრის“ კოლექციაში ინახება აბუ ლ-ყასემ თაბრიზის და სეიდ მირზა თაბრიზის ნამუშევრები და ასევე მირაქ თაბრიზის მიერ დახატული შაჰ თაჰმასპის უმცროსი დის პორტრეტი. ფათჰალი შაჰის კარის მხატვარი მეჰრ ალიც თავრიზელი იყო, მაგრამ თეირანის ტელევიზიის უვიცი დიქტორი მას შირაზელად მოიხსენიებს. აბა რა ვიცი, განა ჰალვას წარმოთქმით პირი დატკბება? შირაზს სამი ცნობილი მხატვარი ჰყავდა: პირველი, აყა აბას შირაზი, რომელიც ისფაჰანში ცხოვრობდა; მეორე, აბდ ალ-სამად შირაზი და მესამე, ლოთფალი სურათგარე შირაზი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ „სურათგარად“ (პორტრეტისტად) იწოდება, ძირითადად ყვავილებს, ბუთეებს და მინიატურებს ხატავდა. თანამედროვეებშიც გარდა სადრ ედ-დინ შაიესთესი, რომლის გაცნობა ან მისი ნამუშევრების დათვალიერება ვერ მოვახერხე, სხვა არავინ ვიცი. ახლაც თეირანში დაახლოებით ათი თავრიზელი მხატვარია, რომლებიც თავიანთ მძიმე ჭაპანს ამ ქალაქში ეწევიან.

ასეა თუ ისე, მე ის სამი და კიდევ სხვა ორი ნახატი შევაკეთე. ეს გენერალი ძალიან კეთილი და კაცთმოყვარე ადამიანი იყო და „ცარის“ რუსებისგან განსხვავებით, თავის სახლში სადილზე და ვახშამზე დაჟინებით მეპატიჟებოდა, მაგრამ მე მასთან სტუმრობაზე და მისვლა-მოსვლაზე უარს ვამბობდი. ეს კეთილი კაცი სამუშაოსა და შეკვეთების პოვნაში მეხმარებოდა. მე მისი და მისი მეუღლის აკვარელის პორტრეტი დავხატე, რომელიც ახლა ფარჰადის დარბაზში კიდია.

გენერლის ქალიშვილი დათვრა

ქალაქ თბილისის განაპირას ერთი მთაა, რომელსაც მუსლიმები „შეიხ სანაანის მთას“ ეძახიან. ქალაქის მესვეურებმა მთის წვერი მოასწორეს და ზედ მოაწყვეს ბაღი და სასეირნო ადგილი, სადაც კაფე და რესტორანი მუშაობს. მთაზე ელექტრომატარებელი დადის და ხალხი ადვილად გადაჰყავს.

გენერალს სამი ქალიშვილი ჰყავდა. უმცროსი ჯერ კიდევ გაუთხოვარი იყო და მამის სახლში ცხოვრობდა. ერთ დღეს ქალიშვილმა მამას ნებართვა სთხოვა, რომ ჩემთან ერთად სასეირნოდ წასულიყო. ჩვენ შეიხ სანაანის მთაზე წავედით. სეირნობისა და ქალაქის მშვენიერი პანორამის დათვალიერების შემდეგ მაგიდასთან დავსხედით. გენერლის ქალიშვილმა ლუდი დალია, მოითენთა და მითხრა, მეძინებაო. კაფეს დირექტორს ვთხოვე, ერთი საათით ოთახი მოექირავებინა. მან იქედნურად გაიღიმა და ოთახი მოგვცა. მე გენერლის ქალიშვილი ოთახამდე მივაცილე და ვუთხარი: „ცოტა ხანი დაიძინეთ, მე კი გარეთ დაგელოდებით და როგორც კი გაიღვიძებთ, ქალაქში დავბრუნდეთ“. ცოტა ხანში, ვხედავ, მეძახის. კართან მივედი და ვკითხე: „რა გნებავთ?“. მითხრა, რომ შევსულიყავი. ვიუარე: „არა, სანამ თქვენ გძინავთ, ჩემი შემოსვლა მართებული არ იქნება“. მითხრა: „მე თავად გაძლევთ ნებას, რომ შემოხვიდეთ“. ვხედავ, მთვრალია. სხვა რა გზა მქონდა, სკამი ავიღე და მისი საწოლის გვერდით ჩამოვჯექი. საბედნიეროდ, მალე ჩაეძინა და მე ჩუმად გარეთ გამოვედი. ერთ

საათში გაიღვიძა, ჩაიცვა და ქალაქში დავბრუნდით. მე ის სახლამდე მივაცილე. ამ გოგონამ მომხდარის შესახებ მშობლებს უამბო და უთხრა: „მიუხედავად იმისა, რომ მე მზად ვიყავი, მას ჩავხუტებოდი, ის პატიოსნად მომექცა და არ მომეკარა“. ამ შემთხვევის შემდეგ გენერლის ოჯახში ჩემდამი კეთილგანწყობამ იმატა და კიდევ უფრო შევუყვარდით.

ჩემი თანაკლასელი მარტოდმარტო იყო

კვირა დღე იყო. მე ოცი კაპიკი ფული (იმ დროისთვის ორ რიალს უდრიდა) მქონდა და სასეირნოდ წასვლა მინდოდა. გადავწყვიტე, ეს ოცი კაპიკი გადამეხადა და შეიხ სანაანის მთაზე ელექტრომატარებლით ავსულიყავი. კარი გაიღო და მატარებლიდან ჩამოვედი. ბაღში რომ შევედი, უეცრად ჩემი სასწავლებლის გოგონებიდან ის ერთადერთი დავინახე, რომელსაც ვიცნობდი. მარტოდმარტო სეირნობდა. გავიფიქრე: „თუ ეს გოგო დამინახავს და ჩემთან მოვა, ერთად უნდა გავისეირნოთ. სეირნობის მერე უეჭველია მაგიდასთან დავსხდებით და მე უნდა დავპატიჟო. წესი არ არის, კაცის თანდასწრებით ქალი ფულს იხდიდეს, მაგრამ მე ხომ ფული არა მაქვს“. ჯერ მინდოდა, უკან გავბრუნებულიყავი, მაგრამ მერე ერთი აზრი მომივიდა. წლებია წესად მაქვს, რვეულსა და ფანქარს მუდამ თან ვატარებ, რომ თუ კარგ და საინტერესო ტიპაჟს დავინახავ, დავხატო. რვეული და ფანქარი იმ დღესაც თან მქონდა. ორი ნახატი დავხატე, რვეულიდან ფურცლები ამოვხიე, შოკოლადის გამყიდველის დუქანში მივაბარე და თითოეული ხუთ რუბლად შევაფასე. შორიდან ვუყურებდი და დავინახე, რომ ვიღაც ქალმა და კაცმა ჩემი სურათები დაათვალიერეს და წავიდნენ. ახლოს მივედი და ვნახე, რომ ერთი ნახატი აღარ იყო. გავიფიქრე: წავალ, ვნახავ, ხომ არ გაიყიდა-მეთქი. თავიდან მრცხვენოდა, მაგრამ მერე გადავწყვიტე, ახლოს მივსულიყავი და თუ გაყიდული იყო, ფული გამომერთმია და თუ არა, ნახატები ამეღო და წავსულიყავი.

გამყიდველმა, რომელიც ახალგაზრდა გოგონა იყო, დამინახა თუ არა, მითხრა: „ერთი ნახატი გავყიდე და მეორეს თუ დააკლებ, მე თავად ავიღებ“. საბოლოოდ რვა რუბლი მომცა და მეც ბედნიერი თანაკლასელის მოსაძებნად გავეშურე. მივედი და ვკითხე: „მარტო ხართ?“ მიპასუხა: „მშობლებთან შეთანხმებული ვიყავი, რომ აქ უნდა მოსულიყვნენ, მაგრამ არ ჩანან“. იმ დღეს ერთად ვისეირნეთ, ნაყინი ვჭამეთ და ქალაქში დავბრუნდით.

რუსი პროფესორის რჩევები

ერთ დღეს გენერლის მოსანახულებლად წავედი. ოთახში შესვლისას დავინახე სამოციოდე წლის სათვალიანი და ნიკაპზე წვერმოშვებული კაცი, რომელიც იქ იჯდა და გენერალს ესაუბრებოდა. ჩემ დანახვაზე გენერალმა შესძახა: „აი, ჩვენი მხატვარიც მოსულა“. სათვალიანმა კაცმა, რომელიც, როგორც მოგვიანებით შევიტყვე, პეტერბურგის „პეტერზბურღის“ უნივერსიტეტის პროფესორი იყო, შემომხედა და მითხრა: „კარგი იქნებოდა, ზოგიერთი თქვენი ნამუშევარი მოგეტანათ, რომ მენახა“. მოვახსენე: „ჩემი სახლი არც ისე შორს არის და შემიძლია, წავიდე და მოვიტანო“. მითხრა: „მე ნახევარი საათით საქმეზე უნდა გავიდე და რომ დავბრუნდები, თქვენც აქ დამხვდით“. სახლში წავედი და რამდენიმე ზეთის და აკვარელის ნახატი წამოვიღე. მათ პროფესორის უსაზღვრო აღტაცება და მოწონება დაიმსახურეს. მკითხა: „რამდენი წლის ხარ?“ ვუპასუხე: „ცხრამეტის“. მითხრა: „ძალიან კარგი. ახლა ჩემს რჩევებს მოუსმინე: 1. ირანის

სიყვარული გულიდან ამოიგდე, რადგან ირანში მაღალი რანგის ხელოვანიც კი შეიძლება შიმშილით მოკვდეს; 2. თამბაქოს ნუ მოწევ; 3. ალკოჰოლით თავს ნუ წაიბილწავ; 4. სანამ სამხატვრო აკადემიას არ დაამთავრებ, ქორწინებაზე არ იფიქრო; 5. რუსი გოგონას გარდა ნურავიზე დაქორწინდები". მკითხა, ირანის მოქალაქე ვიყავი თუ რუსეთის. როცა გაიგო, რომ ირანის მოქალაქე ვიყავი, მითხრა: „საბუთს მე გაგიკეთებ, რომ რუსეთის მოქალაქე გახდე". მერე გვარი მკითხა და ვუთხარი, რომ ოსეინი „ჰოსეინი" ვიყავი (უნდა აღვნიშნო, რომ თავდაპირველად რუსეთში ხელს „ჰოსეინად" ვაწერდი, მაგრამ რადგან რუსულ ენაში ასო „ჰ" არ არის, ჩემი გვარი „ოსეინად" გადავაკეთე). მითხრა, ამიერიდან ოსეინოვი იქნებიო და დასძინა: „როგორც გენერალი ამბობს, თქვენ დახმარება გჭირდებათ. პეტერბურგში როცა დავბრუნდები, თქვენთვის თვიურ სტიპენდიას გავაკეთებ. თბილისში ცოტა საქმეა და თუ პეტერბურგში ჩამოხვალთ, მომავალში სახელოვანი მხატვარი გახდებით". მადლობა მოვახსენე და პასუხის ნებართვა ვთხოვე. მითხრა: „რა თქმა უნდა, ბრძანეთ". ვუთხარი: „თქვენი სიტყვები თამბაქოსა და ალკოჰოლზე სრული სიმართლეა და მე არც თამბაქოს ვეწევი და არც ღვინოს ვსვამ. თქვენი რჩევაც, აკადემიის დასრულებამდე არ ვიქორწინო, ამ საკითხზე ჩემს თვალსაზრისს ემთხვევა. მაგრამ რაც შეეხება ირანის სიყვარულის გულიდან ამოღებას, მე ირანელი ვარ, ირანს თქვენზე უკეთ ვიცნობ და ვიცი, რომ იქ ბევრი ხელოვანი დიდად დაფასებულია. რუს გოგონაზე ქორწინებაზე კი მოგახსენებთ, რომ მე მყავდა მამა, რომელიც ახლა ამქვეყნად აღარ არის, მაგრამ მე მასა და მის სიტყვებს დიდ პატივს ვცემ. ის კი მირჩევდა, რომ უცხო რჯულის ქალზე არასოდეს მექორწინა და ცოლად მხოლოდ შავთვალა ირანელი ქალი მომეყვანა. ასევე ბრძანეთ, რომ რუსეთის მოქალაქეობას მომანიჭებდით. ამ ეტაპზე რუსულ არმიას ირანის ორი რეგიონი დაპყრობილი აქვს და მომავალში თუ რუსები ირანს მთლიანად დაეპატრონებიან, მე ისედაც რუსეთის მოქალაქე ვიქნები. მაგრამ თუ ღმერთი გადმოგვხედავს და რუსები ირანის დაპყრობას ვერ შეძლებენ, არ მინდა, რომ რუსეთის მოქალაქეობის გამო თანამოძმეების წყევლა-კრულვის ობიექტი გავხდე. თქვენ კი ასეთ დიდბუნოვანსა და კეთილს შეგიძლიათ თქვენი მოწყალება მიმართოთ უსახსრო ქრისტიანი ხელოვანებისადმი, რომლებიც ამას ჩემზე მეტად იმსახურებენ". სიტყვა რომ დავასრულე, ორ მოხუც მოხელეს სახე ერთიანად აჭარხლებოდა. გენერალმა მითხრა: „პროფესორს თქვენი დახმარების გარდა სხვა მიზანი არ ჰქონია". ვუპასუხე: „სწორედ ამიტომ ჩემი სიტყვის დასაწყისში მას დიდი მადლობა მოვახსენე".

განსხვავება დღევანდელ ახალგაზრდობასა და ჩემ შორის

დღევანდელი ახალგაზრდა მამის დიდძალი ფულის წყალობით განათლების მისაღებად ამერიკაში მიდის, რათა დაბრუნების შემდეგ თავის სამშობლოსა და ხალხს ემსახუროს. მაგრამ წასვლის შემდეგ ის საკუთარ მოქალაქეობაზე უარს ამბობს, უცხო ქვეყნის ჯარში მსახურობს და თავის სახელსა და რელიგიას იცვლის. მერე უცხო ტომის გარყვნილ ქალზე ქორწინდება და ცოტა ხანში ხვდება, რომ მის ცოლს მის გარდა კიდევ სხვა საყვარლები და ნაცნობები ჰყავს. მაშინ ეს ახალგაზრდა იღებს ორ ტყვიას, ერთს თავისთვის და ერთს ცოლისთვის და ასე სრულდება ამ ორის სიცოცხლე.

ძვირფასო მკითხველებო, თქვენგან სამართლიანობას ვითხოვ. მე სამშობლოში ჩემი წინაპრების მიწა-წყლის სიყვარულმა დამაბრუნა და წმინდა პატრიოტული გრძნობებით გამსჭვალულს, საკუთარი ქვეყნის სამსახურის გარდა, სხვა ოცნება

არ მქონია. შეხედეთ, როგორ მომექცა ის ხალხი, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ფულს ჭამდნენ და ამის სანაცვლოდ ქვეყნისთვის არაფერს აკეთებდნენ. მათი მტრობა ჯერაც არ დასრულებულა: ოცდაათი წელია ჩემ მიერ დახატული ჰაფეზის პორტრეტი, რომელშიც ჩემთვის ერთი დინარიც კი არ გადაუხდიათ, სარდაფში ოხრდება და არ ამოაქვთ.

ირანელი მუსიკოსები თბილისში

ერთ დღეს თბილისში გამზირზე მივაბიჯებდი, რომ უეცრად თავრიზის სახელოვან მომღერალს ეყბალ აზარს შევეჯახე. მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ ვკითხე, აქ რას აკეთებდა. მიპასუხა: „ხელოვანების ჯგუფთან ერთად ფირსაკრავის ფირფიტის საყიდლად ჩამოვედი და თუ ინებეთ, მათ გაგაცნობთ“. დავთანხმდი და ერთად გავემართეთ სასტუმროსკენ, სადაც დაბინავებულიყვნენ. თარზე დამკვრელი დარვიშ ხანი, ქემანჩეს ოსტატი ბაყერ ხანი, მომღერალი თაჰერ ზადე და აბდოლლა ხანი გავიცანი და ვთხოვე, თბილისში ერთი-ორი კონცერტი გაემართათ. მერე ერთ დიდ ქაღალდზე აკვარელით მათი პორტრეტები დავხატე და შუშიან ჩარჩოში ჩავსვი. კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე ეს ნახატი თბილისის ყველაზე დიდ გამზირზე გამოვფინე, კონცერტის საღამოს კი ბილეთების გასაყიდი სარკმლის თავზე დავამაგრე. მეორე კონცერტის დროს რამდენიმე თურქულის მოტრფიალე თბილისელი ფეხზე წამოხტა და აყვირდა: „ჩვენ სპარსული არ გვინდა, თურქულად იმღერეთ“. როცა ფარდა დაეშვა და დარბაზში მჯდომები შესვენებაზე გარეთ გავიდნენ, მე იმ ჭირვეულ ხალხს გამოვეკიდე. ისინი ენის შესახებ ლაპარაკობდნენ და ამბობდნენ: „სამი გლავნი იაზიკ ლატინსკი დი“[1] ანუ ყველაზე მტავარი ენა რუსულიაო. მე მათ გზა გადავუღობე და ვუთხარი: „თურქული ენის მოტრფიალეებო, თქვენ მიერ ნათქვამ წინადადებაში „დი“-ს გარდა ყველა სიტყვა რუსულია. ახლა წადით, ამ თურქულით ყაზალი დაწერეთ, რათა ირანელმა მუსიკოსებმა დაამღერონ“. ამგვარად, ეს თურქულის მოტრფიალეები თითქოს ძილიდან გამოფხიზლდნენ და აღმოაჩინეს, რომ ენა, რომელიც მათ კავკასიელი ხალხის თურქული ეგონათ, სინამდვილეში რუსულია. იმ დროს ხალხი უთანხმოებას ძირითადად დანითა და რევოლვერით წყვეტდა.

გენერალი კარგი და კაცთმოყვარე ადამიანი იყო

ზაფხულის არადადაგებზე მე ხშირად მივდიოდი თავრიზში, რომელიც იმ დროს *ცარის* ჯარისკაცების მიერ იყო ოკუპირებული. რუსი სამხედროები ხალხის ქონებასა და ღირსებაზე ძალადობდნენ. იყო შემთხვევა, რომ ერთი ახალგაზრდა ლამაზი ქალი აბანოდან გამოსვლისას მოიტაცეს და ორმოცი დღე მალავდნენ. მისმა ქმარმა კი სირცხვილისა და შეურაცხყოფისგან თავი მოიკლა. ეს ჯარისკაცები როცა დუქანში რამეს ყიდულობდნენ, ფულს არ იხდიდნენ. ერთხელ, როცა ერთმა მედუქნემ ფული დაჟინებით მოითხოვა, ჯარისკაცმა ხმალი ამოიღო და მას ხელ-ფეხი მოკვეთა.

რუს პროფესორთან საუბრის შემდეგ გენერლის სახლში იშვიათად მივდიოდი, რადგან ვგრძნობდი, რომ პროფესორთან შეპასუხების გამო ჩემზე გაბრაზებული იყო. ერთ დღეს გენერლის მოსანახულებლად წავედი. მისაყვედურა, დიდი ხანია, ჩვენთან

---

[1] რუსული ტექსტი სპარსულად დამახინჯებულად არის ჩაწერილი: „სამი ყლავნ ფაზექ ლათენ ესკი დი“.

არ მოსულხართო. ვუთხარი, რომ თავრიზში ვიყავი წასული. მკითხა: „რუსი ჯარისკაცები თავრიზში რას აკეთებენ?“ ყველაფერი, რაც საკუთარი თვალით ნანახი თუ სხვებისგან გაგონილი მქონდა, მოვუყევი. წამოდგა, სამუშაო მაგიდას მიუჯდა და არმიის შტაბს წერილი მისწერა, რომ ის განუკითხაობა და ძალადობა, რასაც რუსები ირანელი ხალხის მიმართ სჩადიოდნენ, აღეკვეთათ.

საკუთარი ნამუშევარი თავად მოვიპარე

თბილისის სამხატვრო სასწავლებელი კვირის ბოლო ორი დღე ისვენებდა. შაბათობით მოსწავლეების ნამუშევრებს ნომრავდნენ და არავის ჰქონდა უფლება, ნამუშევარი დაუნომრავად გაეტანა. ნახატებს სამ - პირველ, მეორე და მესამე კატეგორიად ანაწილებდნენ. პირველი კატეგორიის ნამუშევრები თავად სასწავლებელს მიჰქონდა. მათ ჯერ ჰფენდნენ სასწავლებლის გამოფენებზე, რომლებიც ექვს თვეში და წელიწადში ერთხელ იმართებოდა, მერე აგზავნიდნენ მოსკოვის აკადემიაში. მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ ნამუშევრები წესით ავტორებისთვის უნდა დაებრუნებინათ, მაგრამ იქ გატარებული ოთხი წლის განმავლობაში არ მინახავს, რომ ნახატი ვინმესთვის უკან მიეცათ.

ერთხელ ერთი ულამაზესი ქართველი გოგონა *მოდელად* მოგვიყვანეს, რათა მისი სახე დაგვეხატა. ძალიან კარგი აკვარელის პორტრეტი დავხატე და დარწმუნებული ვიყავი, რომ პირველ კატეგორიაში მოხვდებოდა. ამიტომ ნამუშევარი შეუმჩნევლად მოვიპარე, რათა არ დამეკარგა. ორშაბათს როცა სასწავლებელში მივედი, დირექტორმა მითხრა: „თქვენი ნამუშევარი რატომ წაიღეთ?“ ვუპასუხე: „ძალიან ცუდი გამოვიდა და შემრცხვა, რომ ვინმეს ენახა“. მითხრა: „პირიქით, ძალიან კარგი იყო და ხვალ მოიტანეთ“. სხვა რა გზა მქონდა, ნახატი დავაბრუნე.

კლასის პირველი მოწაფე

იყო ერთი გამხდარი, დიდპირა, შეუხედავი ბიჭი, რომელიც ჩემამდე კლასის პირველ მოწაფედ ითვლებოდა. მიუხედავად უშნო გარეგნობისა, მუდამ კლასის ულამაზეს გოგოებს ელაზღანდარებოდა და ხმამაღლა იცინოდა. ექვსთვიან გამოფენაზე ჩემი ნამუშევრებით მთელი კედელი იყო მოფენილი, მან კი მხოლოდ ორი ნახევრადდასრულებული ნამუშევარი წარმოადგინა. ერთ საღამოს გამოფენის დასათვალიერებლად სასწავლებლის დირექტორი მოვიდა და ამ ბიჭს ჰკითხა: „ზიტა, რას აკეთებ?!“ მეორე მოწაფემ, რომელიც თავად დიდებული მხატვარი იყო, თქვა: „ზიტა ხელიდან წავიდა, ახლა პირველი მოწაფე ოსეინია“. ჩემი წარმატების მიზეზი შესაძლოა ის იყო, რომ საქმეს ძალიან სერიოზულად ვეკიდებოდი და გაკვეთილის დაწყებიდან ზარის დარეკვამდე დიდი გატაცებითა და აღმაფრენით ვმუშაობდი, რის გამოც ჩემი მასწავლებელი ძალიან კმაყოფილი იყო. თანაც დიდად არც გოგოებით ვინტერესდებოდი.

მოჰამად ალი თბილისში გამიჯნურდა

თავრიზში ცხოვრობდა ერთი გაუნათლებელი და ხელმოკლე ახალგაზრდა, რომელიც „ქეშმეშ ჩი ლარ“-ის ქარვასლის მოედანზე ყოველგვარი წესების უგულებელყოფით ხალიჩებს ხატავდა. ის რამდენჯერმე ჩემთან ბალახანაში მოვიდა, მაგრამ რადგან გაუნათლებელი, უზნეო და უსაქციელო იყო, ხმას არ ვცემდი და ერთხელაც იძულებული გავხდი, პოლიცია გამომეძახებინა და სახლიდან ისე გამეგდო.

ერთ დღეს თბილისელი მუსლიმების ბაზარში დავინახე. ჩემკენ გამოემართა, მომესალმა და მკითხა: „აქ რას აკეთებ?“ ვუპასუხე: „სამხატვრო სასწავლებელში დავდივარ“. მითხრა: „მე ჩემს უფროს ძმასთან ერთად, რომელიც ერთხანს რუსეთსა და სამარყანდში ცხოვრობდა, აქ ჩამოვედი“. ვკითხე: „შენი ძმა რას საქმიანობს?“ მიპასუხა, რომ ექიმი და შემლოცველი იყო და დასძინა: „იქნებ დამეხმაროთ, რომ სამხატვრო აკადემიაში ერთხელ მაინც მოვიდე“. ვუპასუხე: „ძნელი საქმეა, იქ არავის უშვებენ“. მაგრამ ისე ჩამაცივდა, რომ იძულებული გავხდი სასწავლებლის დირექტორისთვის მეთხოვა: „ერთ ირანელ ახალგაზრდას სურს აქ მოდელად იმუშაოს“. მკითხა: „კარგი აღნაგობა აქვს?“ ვუპასუხე: „არც იმდენად“. ნება დამრთო, რომ ორშაბათს მიმეყვანა. მოჰამად ალი დაბალი, მსუქანი და ყურპანტურა იყო და ეს ყურები ყოჩის რქებივით თავის ორსავე მხარეს ამოჩრილიყო. დიდი ყვითელი ქუდი, ნაკეცებიანი ყაბა და მოკლე და ფართო შარვალი ეცვა. ორშაბათს მოვიდა და მოდელის მაგიდაზე დაჯდა, მაგრამ მოწაფეები, განსაკუთრებით გოგონები, მის დახატვაზე უარს აცხადებდნენ. კვირის დასრულების შემდეგ მას გასამრჯელო გადაუხადეს და დაითხოვეს. მოჰამად ალიმ მითხრა: „აქაურობა ძალიან მომეწონა და მინდა, რომ აქ ვისწავლო. მირჩიე, რა ვქნა?“ ვუთხარი: „შენ არც სპეციალური განათლება გაქვს და არც რუსული ენა იცი, რომ სასწავლებელში ჩაირიცხო“. არ მომეშვა და იძულებული გავხდი, დირექტორთან მივსულიყავი და დავლაპარაკებოდი, მაგრამ ვერ დავითანხმე. მოჰამად ალი ძმასთან ერთად წავიდა მაჯდ ოს-სალთანე აფშართან, რომლის ქალიშვილიც იქ მუშაობდა. მაჯდ ოს-სალთანემ სასწავლებლის დირექტორს სთხოვა, მოჰამად ალი გამონაკლისის სახით მიეღო. ამგვარად, მოჰამად ალი კლასში ჩაირიცხა, მაგრამ რადგან რუსული არ იცოდა, ჩემს გვერდით დასვეს. იმის მაგივრად, რომ მოდელი დაერხატა, მოჰამად ალი ხან თავის ნებაზე ხატავდა და ხან ხალიჩის თარგს აკეთებდა, მაგრამ რადგან არაოფიციალური მოწაფე იყო, მის ნამუშევრებს არავინ ამოწმებდა. სასწავლებლის სამდივნოში სახატავი საშუალებები, მათ შორის ფანქარი, სხვადასხვანაირი ქაღალდი, სპეციალური ნახშირი, ზეთის საღებავი, აკვარელი და სხვა ნივთები იყიდებოდა. იქვე იდო დავთარი, რომელშიც ყველა მოწაფეს საკუთარი გვერდი ჰქონდა და ამ გვერდზე მის მიერ შესყიდულ ნივთებს და მათ ფასს აფიქსირებდა. ყოველი თვის დასაწყისში მოწაფეები დანახარჯს ითვლიდნენ და იხდიდნენ, რის შემდეგაც ახალი ანგარიში იხსნებოდა. მოჰამად ალიმ ეს ამბავი რომ გაიგო, მითხრა: მეც მინდა სახატავი საშუალებების ყიდვა. რადგან წერა-კითხვა არ შეეძლო, იძულებული გავხდი დავთარში ჩანაწერი მის მაგივრად გამეკეთებინა. უამრავი რამე იყიდა და წაიღო. იმ დღეებში ერთი ხელი შარვალი და კოსტიუმი ვიყიდე, მაგრამ ვიწრო მქონდა. მოჰამად ალიმ მთხოვა, მე მომეციო. ვკითხე: როგორ ჩაიცვამ, შენი ნახევარი ვარ და ეს სამოსი მე მაქვს პატარა? მიპასუხა: ჩემი ძმა ერთ სიფილისით დაავადებულ მკერავს შელოცვით მკურნალობს. იმას მიუტანს და გაადიდებს. თავიდან მეგონა, რომ ტანსაცმლის ფულს მომცემდა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, მუქთად მიჰქონდა. მერე დასძინა, რომ გახამებული საყელო და ჰალსტუხიც უნდოდა. მიუხედავად ჩემი შეპასუხებისა, კისრის ზომა სხვადასხვა გვაქვს და არ მოგერგება-თქო, მისთვის ჩვეული უტიფრობით ეს ორივეც წაიღო და გასვლისას ჩემი მოხდენილი ხელჯოხიც გააყოლა. იმ საღამოს ჩემი ვიწრო კოსტიუმით, პატარა საყელოთი და მოღრეცილი ჰალსტუხით ძალიან სასაცილოდ გამოიყურებოდა.

მოჰამად ალი ისევ ჩემს კლასში დაბრუნდა, ჩემ წინ დაჯდა და მუშაობა განაგრძო. ჩვენს ჯგუფში ერთი ქართველი გოგონა იყო, რომლის მამასაც ლუდსახარში ქარხანა ჰქონდა. ის ძალიან მდიდარი და ლამაზი იყო. ისეთი კოხტა ტანი, აბრეშუმივით რბილი შავი თმა და წარმტაცი სახე ჰქონდა, რომ თვალს ვერავინ უსწორებდა. მოკლედ, საბედისწერო ქალი იყო. ერთხელ მას შემდეგ, რაც მოდელი რამდენიმე რაკურსით შეათვალიერა, თავისი სამუშაო ნივთები ჩემსა და მოჰამად ალის შორის

დადო და მუშაობას შეუდგა. იმ დროს, როცა საკუთარი ნახატის გასასუფთავებლად და ნაფშვენების მოსაშორებლად, ქაღალდს კოკორივით ტუჩებით სულს უბერავდა, უცებ მოჰამად ალი მის ხელს სწვდა და ქაღალდი იმ ხელით გაწმინდა. გოგონა წამოდგა, გაოცებულმა შემომხედა და გადაჯდა. მისი წასვლის შემდეგ, მოჰამად ალიმ მითხრა: „რა ლამაზია, მიყვარს“. მეორე საღამოს გოგონა ჩვენს გვერდით აღარ დაჯდა. მოჰამად ალიმ თქვა: „რას გვეკეკლუცება და გვეთამაშება, მე კი მას ლექსი დავუწერე“. რამდენიმე გაუმართავი ფრაზა თურქულად წარმოთქვა და დასძინა: „მისთვის ვკვდები და რადაც არ უნდა დამიჯდეს, ცოლად უნდა მოვიყვანო. შეხედე, შეხედე, ხანდახან მიყურებს და მიცინის. ძველ ხალხს უთქვამს, გული გულთან მისასვლელ გზას იპოვისო. მისი თვალების მსხვერპლი ვარ“. ვუთხარი: „ამ მანჭვა-გრეხით მარტო ამ გოგოსი კი არა, მთელი კლასის დასაცინი გახდები“. ბოლოს ზარი დაირეკა და შესვენება დაიწყო. მოჰამად ალიმ მითხრა: „მოდი, ამ საღამოს სასეირნოდ წავიდეთ“. ვიცოდი, რომ სასაცილო იერის გამო ქართველი მაწანწალა ბავშვების დასაცინი გახდებოდა და ეს დაცინვა მე და ირანელებსაც შეგვეხებოდა, ამიტომ შევთავაზე, ელექტრო ტრამვაით გავისეირნოთ-მეთქი. ტრამვაი დაიძრა თუ არა, ვხედავ, ის გოგო ვიღაც სტუდენტთან საუბრითაა გართული. მოჰამად ალის ვუთხარი: „ამათ შეხედე“. სასოწარკვეთილმა დაიყვირა და მიწაზე დაეცა. ვუთხარი: „გეყოფა გიჟიანობა! ის ქართველი მილიონერია და შენ ვიღაც უქონელი და უსახლკარო მუსლიმი. რის იმედად შეგიყვარდა?!“ მიპასუხა: „ შენ გგონია, რომ ნაკლები ვარ ბებერ შეიხ სანაანზე, რომელსაც ქართველი ქალი შეუყვარდა?“ ლაპარაკი გავაწყვეტინე, ნუ ლაზღანდარობ-მეთქი.

შემდეგ საღამოს მოჰამად ალი სასწავლებელში არ გამოჩნდა. თვე დასრულდა და დავთარში ანგარიშის გასწორების დრო მოვიდა, თან არც ჩემი ტანსაცმლის ფული ჰქონდა გადახდილი, ამიტომ იძულებული გავხდი, მის სასტუმროში წავსულიყავი. ის იყო, მათი ამბავი უნდა მეკითხა, რომ იქით დაკითხვა მომიწყეს, სად გაიქცნენო. ვუთხარი: „მე აქ იმიტომ მოვედი, რომ მათი ადგილსამყოფელი თქვენთვის მეკითხა. მე რა ვიცი, სად წავიდნენ“. მოკლედ, ერთსაათიანი კამათის შემდეგ გამიშვეს და მითხრეს: „აქ ორმოცი დღე იცხოვრეს და გარდა იმისა, რომ სასტუმროს საფასური არ გადაიხადეს, რამდენიმე დამსვენებლის კუთვნილი ძვირფასეულობაც თან წაიღეს“.

წლები გავიდა. მე მოსკოვის აკადემიაში სწავლა დავასრულე, თეირანში დავბრუნდი და არჟანგის სტუდია გავხსენი. ერთ დღეს ვიღაც ახალგაზრდა მოვიდა და მითხრა: „შენი ძმა მაშჰადშია. მითხრა, წადი, ჩემი ძმა რასამ არჟანგი ნახე“. გაკვირვებულმა ვკითხე: „მე მხოლოდ ორი ძმა მყავს და არცერთი მაშჰადში არ არის“. მერე მივხვდი, რომ მოჰამად ალი თავს ჩემ ძმად ასაღებდა და მაშჰადში ჩადენილ ათას სისაძაგლეზე მე მაკითხავდნენ.

ჩემი პირველი სიყვარული

თბილისში იყო დიდი, რამდენიმესართულიანი სახლები, რომლებსაც შეღებილი ხის კიბეები, კორიდორები და იატაკები ჰქონდა. ეს შენობები დანაწევრებული იყო და თითოეული ნაწილი წინკარისგან, ექვსი მომიჯნავე ოთახისგან, სამზარეულოსგან, სააბაზანოსგან და საპირფარეშოსგან შედგებოდა. ოჯახი, რომელიც იქ ცხოვრობდა, ერთ ან ორ ოთახს სტუდენტებზე აქირავებდა და განცხადება ამის შესახებ შემოსასვლელ კარზე ეწერა. ამ სახლებს ჰქონდა ჭიშკარი და ერთი ოთახი, სადაც დარაჯი იჯდა. ის ყველა მოქირავნეს კარგად იცნობდა და უცხოს შენობაში არ უშვებდა.

სამხატვრო სასწავლებელში სწავლის მესამე წელს, ზაფხულის არდადაგების შემდეგ თავრიზიდან თბილისში დავბრუნდი. თავიდან, როგორც ყოველთვის,

სასტუმროში დავბინავდი და მერე ოთახის საშოვნელად გავეშურე. იმ ქუჩაზე, სადაც ჩემი სასწავლებელი იყო, ერთი სახლის ჭიშკარზე ვნახე განცხადება, რომ მესამე სართულზე ორი ოთახი ქირავდებოდა. სახლში შევედი, კიბეებით მაღლა ავედი და შევედი წინკარში, სადაც ერთი ქალი სამ გოგონასთან და ვაჟთან ერთად მაგიდას უჯდა და ჩაის სვამდა. ვუთხარი: „ოთახების ნახვა მინდა“. უფროსი გოგონა, რომელსაც კოხტა ტანი, ბრწყინავი ყავისფერი თმა, მიმზიდველი თვალები და ვარდის ფურცელივით ლამაზი სახე ჰქონდა, წამოდგა და გამიძღვა. მკითხა: „რას საქმიანობთ?“ ვუპასუხე: „სამხატვრო სასწავლებლის სტუდენტი ვარ“. მითხრა: „კარგია. საიდან ხართ?“ ვუპასუხე, რომ ირანელი ვიყავი. შევამჩნიე, რომ ჩემი ირანელობა დიდად არ მოეწონა, რადგან ირანელი გლეხები იქ ძირითადად ან ნავთს, ან კალათებით კაცის და ქალის წინდებს, თავსაფრებს და სხვა წვრილმანებს ჰყიდდნენ. პოლიციელები მათ წესრიგისკენ მოუწოდებდნენ და ლანძღავდნენ. მოკლედ. იქ ირანელს ღირსება არ ჰქონდა. ასეა თუ ისე, ერთი თვის ქირის ფული გადავიხადე და სასტუმროდან ჩემოდნები გადმოვიტანე. ამ გოგონას პირველი დანახვისთანავე მოვეწონე, რადგან გოგონებს მხატვრებისადმი განსაკუთრებული ინტერესი აქვთ და ჩემი ნამუშევრების სანახავად ხშირად მოდიოდა. მაგრამ ის არ იყო ჩემი ნახატების ერთადერთი დამთვარიელებელი. ყოველ დღე მეზობლებიდან ათი-თორმეტი გოგონა ჩემს ოთახში დასათვალიერებლად შემოდიოდა. სახლის მეპატრონის ქალიშვილი, რომელსაც ბელა ერქვა, კერვისა და ქარგვის სასწავლებელში სწავლობდა. შუადღისას სახლში რომ ბრუნდებოდა, ჩემს ოთახში შეკრებილ გოგონებს სახლიდან აგდებდა, თითქოს მე და ჩემი ოთახი მისი საკუთრება ვიყავით.

ამასობაში რუსების დღესასწაული მოახლოვდა და სასწავლებლებში თხუთმეტდღიანი არდადაგები დაიწყო. ბელამ მთხოვა, რომ მისი პორტრეტი დამეხატა. ოთახში შემოვიდა, ჩემ წინ დაჯდა და აკვარელით მისი სახის ხატვა დავიწყე. გადაწყდა, რომ ორ პორტრეტს დავხატავდი, ერთს მისთვის და ერთს ჩემთვის. სანამ ვხატავდი, ათასნაირად მეპრანჭებოდა, თავის კოხტა, ბროლივით ფეხს ფეხზე მისვამდა და მერე ბოდიშს მიხდიდა. ერთ დღეს მითხრა: „მოდი მე შენ საცოლეს გიპოვი და შენ მე საქმრო მიპოვე“. მეორე დღეს ვკითხე: „შენი საქმრო სადაური უნდა იყოს?“ მკითხა: „შენ სადაური გინდა?“ ვუპასუხე, რომ ჩემთვის სულერთი იყო. მითხრა: „ჩემთვისაც სულერთია. თუ შენსავით ხელოვანი და ლამაზი ახალგაზრდა იქნება, კმაყოფილი ვიქნები“. ამ ლაპარაკის შემდეგ მან თავის საკუთრებად მიმიჩნია და ყველანაირად ცდილობდა, რომ სხვა გოგონებთან ურთიერთობა არ მქონოდა. ერთ დღეს მითხრა: „შენ ღამე გძინავს?“ ვუპასუხე: „ღამე ძილისა და დასვენებისთვის არის“. მითხრა: „მე კი ხშირად არ მძინავს და მინდა, რომ შენთან მოვიდე. კარს ნუ დაკეტავ, მოვალ“. მე კარი არ დავკეტე და ერთხანს ველოდე, მაგრამ არ მოვიდა. ავდექი და კარი ჩავკეტე. ის იყო ჩამეძინა, რომ კაკუნი გაისმა. ავდექი და კარი გავაღე. ის იყო. ღამის პერანგითა და მხრებზე დაყრილი დალალებით ციდან ჩამოსულ ანგელოზს ჰგავდა. ვკითხე: „რატომ დაიგვიანე?“ მიპასუხა: „ჩემი დის დაძინებას ველოდი“. იმ ღამეს ბელამ ორი-სამი საათი ჩემს საწოლში ჩემთან ჩახუტებულმა გაატარა, მაგრამ მიუხედავად ამისა მისთვის ცუდი არ მიკადრებია. იმ ღამის შემდეგ მე მისი გავხდი და ის - ჩემი. ერთად დავდიოდით თეატრებში და სასეირნოდ. ერთ საღამოს მოვიდა და თეატრში წასვლა შემომთავაზა. უარი ვუთხარი, მიზეზზე ჩამეძია და ბოლოს გამოვუტყდი, რომ ფული არ მქონდა. შესძახა: „ბიჭო, მე მაქვს ფული!“ ვიუარე: არ მომწონს შენ რომ ხარჯავ-მეთქი, მაგრამ მაინც დამიყოლია და წავედით. ვიგრძენი, რომ უნდოდა რაღაც მნიშვნელოვანი ეთქვა. ბოლოს მკითხა: „როდის დავინიშნებით და ვიქორწინებთ?“ ვუპასუხე: „ჯერ სწავლა არ დამისრულებია, ქორწინება ჩემთვის ადრეა“. შემეკამათა: „რატომ? შენც გაქვს შემოსავალი და მეც ვმუშაობ. შეგვიძლია, ჩვენი ცხოვრება მოვაწყოთ და სანამ

აკადემიას დაამთავრებ, შვილიც გვეყოლება“. დიდხანს ვიკამათეთ და მერე ვუთხარი: „უცხოელ გოგონებს არ ვენდობი. დღეს მე მოგწონვართ, ხვალ კი დაინახავთ ახალგაზრდა რუს ოფიცერს, რომელსაც გერმანულ ყაიდაზე მაღლა აწკეპილი ულვაშები აქვს, ხმალი მიწაზე დასთრევს და ჩექმების დეზებს აჟღარუნებს და ხელიხელ გადახვეული მას გაჰყვებით“. ბელა ისე გაბრაზდა, რომ აკანკალდა. მითხრა: „რამდენი ხანია, რაც შეყვარებულები ვართ?“ ვუპასუხე: „შვიდი თვეა“. მითხრა: „მე რომ ქარაფშუტა და ავხორცი ქალი ვყოფილიყავი, შენ დაგნებდებოდი“. შევეკამათე: „დიდი განსხვავებაა. ახლა თქვენ ქალიშვილი ხართ და იმ დროს ქალი იქნებით“. ამასობაში ფარდა დაეშვა და შესვენება დაიწყო. შევთავაზე, ბუფეტში წავსულიყავით და რამე გვეჭამა. ბელამ იუარა: მე არაფერი მინდა, შენ წადიო.